პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1979 წელი ოთხშაბათი 18 ივლისი № 165 (17510) ფასი 2 კაპ.

მეოთხე — გადამწყვეტი

ეიწყაა ამ ქვეყნად ყოველი სიკეთის დედა და თავწყარო, ამიტომ ვამბობთ — დედამიწაო! ვინც მიწას გერგილინად მოეკიცევა, ვისაც უყვარს ჩვენი ხოდაბუნები და მთა-ბარი, ვინც იცის მიწის ყადრი, ის მას უკლის და ეპატრონება, ელოლიავება, რადგან მიწაა ადამიანის მარჩენალი, გამრჯე გლეხკაცის გამხარებელი და დამპურებელი, მაგრამ იგივე მიწა გულცივად მოეკიცევა მედღვასალიე, უქნარა კაცს. ამიტომ ვამბობთ, რომ მიწას ყოველთვის თავის დროზე უნდა მიხედვა, პატრონობა და თავდგომა.

...და ვინც კარგად შეიგნო, რომ ჩვენს მშობლიურ მაღლიან მიწაზე მოპყავთ პური და ღვინო, ჩაი და ხილ-ბოსტნეული, მრავლდება ცხვარ-ძროხა, ის უთუოდ თვალსაჩინოვით უფრთხილდება ყოველ მტკაველ სახნავ-სათესს, იალაღსა თუ ბარის საძოვარს.

გული გაუნათდება კაცს, როცა შავიზღვისპირეთის ჩაის პლანტაციებსა და ციტრუსის ბაღებს გახედავს. კოპწია პატარძალივითაა ჩაის პლანტაციები, ნაფერები და ნალოლიავები ბუჩქები უხვ მოსავალს იძლევა. ამიტომ არის, რომ ჯერ კიდევ შარშან ხუთწლედის მესამე წელს დიდი გადამტანით შეასრულეს ჩაის ფოთლის დამზადების გეგმა, 870.000 ტონის ნაცვლად 480.000 ტონა ნედლეული დამზადეს და ამით მეათე ხუთწლედის მეხუთე წლისათვის დასახულ მიჯნას დიდად გადააჭარბეს.

როდესაც ხუთწლედის გეგმების შესრულებაზე ვლაპარაკობთ, უთუოდ უნდა გადავხედოთ განვლილი სამი წლის შედეგებს. შედეგი კი ასეთია: ჩაის ფოთლის, ციტრუსის, მარცვლეულის, კარტოფილის დამზადების სახელმწიფო დავალება გადამეტებით შესრულდა. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ თქვა ამას წინათ გამართულ რესპუბლიკის პარტიული აქტივის კრებაზე: „რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის მიერ განხორციელებული ორგანიზაციული, ეკონომიკური, სოციალური, იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი ღონისძიებების მეოსნებით მნიშვნელოვანწილად დავძლიეთ სოფლის მეურნეობაში არსებული ჩამორჩენა. მეცნიერული პროგნოზების მიხედვით, სოფლის მეურნეობის პროდუქციის მატება მეათე ხუთწლედში მეცხრე ხუთწლედთან შედარებით 30-33 პროცენტს შეადგენს. ეს ქვეყანაში ერთ-ერთი საუკეთესო მაჩვენებელი იქნება“.

... და როცა ვამბობთ, მეჩაიეებმა ხუთწლედის სამ წელიწადში დიდ წარმატებას მიაღწიესო, ეს უმთავრესად იმით შეძლეს, რომ ყოველდღიურად იბრძვიან მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავეთა გამოცდილების დასანერგად. მეჩაიეობის საზოგადოებრივ მეურნეობათა წარმატების ძირითადი მამოძრავებელი ძალა გახდა მოძრაობა დეკეზით „პროპაგანდისტული ცოდნა, იდეური მრწამსი, ორგანიზატორული ნიჭი — ხუთწლედის სამსახურში!“ ეს ასეც უნდა იყოს, რადგან იდეოლოგიური მუშაობის შეტევითი ხასიათი უწინარეს ყოვლისა ვლინდება ყოველივე ახლის, მოწინავის, პერსპექტიულის მხარდაჭერით, ყოველივე იმის წინააღმდეგ ბრძოლით, რაც ხელს უშლის ჩვენს წინსვლას, ადამიანთა შეგნებასა და ქცევაში ყოველივე ძველის, დრომოჭმულის წინააღმდეგ ბრძოლით, ნათქვამია სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში „იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“. აქ უწინარეს ყოვლისა, უნდა დავასახელოთ მახარაძის რაიონის პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების კარგი ორიენტაცია, მიზნის მისაღწევად არჩეული გზის სიხეტრე. ამიტომ არის, რომ მახარაძელებმა ჩაის ფოთლის დამზადების ხუთწლიანი გეგმა ოთხ წელიწადზე უფრო ადრე შესრულეს და ახლა მეოერთმეტე ხუთწლედის ანგარიშში კრეფენ ჩაის ფოთოლს.

როგორია მდგომარეობა მევენახეობაში? მიუხედავად იმისა, რომ შარშან ჩვენმა მევენახეებმა პირველად გადალახეს ნახევარმილიონიანი მიჯნა და 510.000 ტონის ნაცვლად 575.000 ტონა ყურძენი დამზადეს, მდგომარეობა ერთობ არასახარბიელოა. რატომ? აი რატომ: მეათე ხუთწლედის პირველი ორი წლის მანძილზე ყურძნის დამზადების გეგმის შესრულებას 186 ათასი ტონა დაკლდა. ამ ციფრს თუ გამოვაკლებთ შარშნდელ გადანაჭარბს — 65.000 ტონას, გამოდის, რომ სამი წლის დანაკლისია 121.000 ტონა. ახლა ხომ დღის წესრიგში დგას ლოზუნგი: წელს დავძლიოთ ხუთწლედის სამ წელიწადში გამოვლენილი ნაკლოვანებანი! თუ ასეა (და ეს ასეც არის), 121 ათასი ტონის დანაკლისი წელს უნდა დაფარონ ჩვენმა მევენახეებმა. შეძლებენ ამას? უნდა შეძლონ!

გურჯაანის, ყვარლის, თელავის, ახმეტის, სიღნაღის, წითელწყაროს, საგარეჯოს, ლაგოდეხის, თერჯოლის, მაიაკოვსკის, ზესტაფონის რაიონების მევენახეები ქვეყანას აღუთქვამენ, რომ დავალებას უთუოდ შეასრულებენ. ამას ვერ ვიტყვით დანარჩენი რაიონების მევენახეებზე. ზოგიერთი საზოგადოებრივი მეურნეობის ზვრების საკმაო ნაწილი მოუვლელია. ვაზებს სარეველები, სხვადასხვა დაავადება მოსდებია, მომვლელი და მზრუნველი კი თავს ნაკლებად იწუხებს. თუ გვინდა, რომ სამი წლის დანაკლისი მევენახეებმა წელს დაფარონ, აუცილებელია ყველა რაიონმა, ყველა კოლმეურნეობამ და საბჭოთა მეურნეობამ, ყველა მეზვრემ დიდი გადამეტებით შეასრულოს დავალება.

გასათვალისწინებელია სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმზე გამოთქმული კრიტიკა, რომ ამერიკაეკასიისა და შუა აზიის რესპუბლიკებთან ერთად საქართველოს ვერ მიუღწევია მეცხოველეობაში საქმის მდგომარეობის არსებითი გაუმჯობესებისათვის, განსაკუთრებით პირუტყვის პროდუქტიულობის გადიდების მხრივ. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1975 წლის XVIII პლენუმის შემდეგ, რომელმაც მეცხოველეობის განვითარების გრძელვადიანი პროგრამა შეიმუშავა, დიდი მუშაობა განხორციელდა, მაგრამ, ხუთწლედის განვლილი სამი წლის შედეგებით რესპუბლიკის ბევრ რაიონს ძალზე არასახარბიელო მდგომარეობა აქვს, რაც საქართველოს მეცხოველეობაზე უარყოფით გავლენას ახდენს და საკავშირო მაჩვენებლებს საგრძნობლად ჩამოვრჩებით როგორც ძროხის წველადობით, ისე წონის მხრივ, იგივე ითქმის ნამატის მიღებაზე, კვერცხმდებლობაზე. ამის მიზეზი ის არის, რომ ბევრი საზოგადოებრივი მეურნეობის მეცხოველეობის ფერმაში ნაკლებად ზრუნავენ პირუტყვის მოვლა-პატრონობაზე, ფერმებში ვერ ნერგავენ მექანიზაციას, მოწინავეთა გამოცდილებას, მეცნიერების მიღწევებს, მეურნეობები თავის დროზე არ ზრუნავენ პირუტყვის საკვები ბაზის განმტკიცებაზე, ზოოვეტერინარული წესების დაცვაზე, რის გამოც ხშირია პირუტყვის გაწყდომის, იძულებითი დაკვლისა და სხვა შემთხვევები, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გაერთიანებულ სხდომაზე განიხილეს წლის პირველ ნახევარში საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგებისა და 1979 სამეურნეო წლის წარმატებით დამთავრების საკითხი. სხდომაზე აღინიშნა, რომ ჯერ კიდევ ჩამორჩენაა სოფლის მეურნეობის მთელ რიგ დარგებში, კერძოდ კი საზოგადოებრივ ხეტყრში მეცხოველეობის პროდუქტების დამზადებაში. ბევრი რაიონი წელს პირველ ნახევარში ჩამორჩება შარშანდელ ტემპს. თუ გვინდა, რომ ხუთწლედის სამ წელიწადში გამოვლენილი ნაკლოვანებანი წელს დავფარო, საჭიროა მეცხოველეობის შემდგომ განვითარებაზე ვიფიქროთ მთელი სერიოზულობით, საკვები ბაზის განმტკიცებისათვის ხელსაყრელი ეს დღეები საქმიანად გამოვიყენოთ.

„კომუნისტის“ ფურცლებზე რეგულარულად იბეჭდება პარტიის სახოფლო რაიკომების პირველი მდივნების წერილები რუბრიკით: დავძლიოთ სოფლად ხუთწლედის სამ წელიწადში გამოვლენილი ნაკლოვანებანი! რაიონის პარტიული ორგანიზაციის, ყველა კომუნისტის, ყველა მშრომელის სახელით პირველი მდივნები პიროდას დებენ, რომ წელს დაძლევენ ნაკლოვანებებს, რომლებიც განვლილ სამ წელიწადში გამოვლენდა, ყველაფერს იღონებენ იმისათვის, რომ საქართველოს სოფლის მშრომელებმა დიდი გადამეტებით შეასრულონ ოთხი წლის დავალებანი, ამით მტკიცე გარანტია იქმნება იმისა, რომ წარმატებით შესრულდეს სკკპ XXV ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის დიდმნიშვნელოვანი გადაწყვეტილებანი.

შაშ ასე, ამხანაგებო! მეათე ხუთწლედის მეოთხე წელი გადამწყვეტია, ყველა დავალება უთუოდ უნდა შესრულდეს! ამისათვის საქართველოს ყველა რაიონის პარტიული ორგანიზაცია, ყველა კომუნისტი, კომკავშირელი, ყველა მშრომელი ერთხმელოვნად უნდა დაირაზმოს, ყველამ საპატიო წესალი უნდა შევიტანოთ დიდ მიზანდასახულობათა უეჭველ განხორციელებაში!

ხუთწლედი, შეჯიბრება

მომჭირნეობის რეჟიმი ეფექტიანობის საწინდარია!

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად ლითონის, ცემენტის, ხე-ტყის, სათბობისა და ელექტროენერგიის დაზოგვისათვის ორგანიზატორული მუშაობის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ.

ამ მიმართულებით მთელმა რიგმა საწარმოებმა მასალათა მომჭირნეობის ხარჯვის გზით გარკვეულ წარმატებებს მიაღწიეს.

ლითონისა და ელექტროენერგიის მომჭირნეობაში მათ ხელი შეუწყო ასობით ტექნოლოგიური პროცესის დახვეწამ, ახალი პროგრესული ტექნიკის დანერგვამ, ნოვატორთა შემოქმედებამ.

ყაირათიანი მიდგომით

მოჭირნეობით ხარჯავს ელექტროენერგიას ჩვენი რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოთა შორის გაწილი სოციალისტური შეჯიბრების ფლაგმანის — სამრეწველო გაერთიანება „საქსამთოქმმრეწვის“ კოლექტივი. წლის დამდეგიდან აქ 330 ათასი კილოვატსაათი ელექტროენერგია დაზოგეს. ეს რაოდენობა საკმარისია იმისათვის, რომ რამდენიმე დღეს შაქსამალური დატვირთვით იმუშაოს გაერთიანების უმსხვილესმა საწარმომ — რაჭის სამთოქმიმრეწმა ქარხანამ, განსაკუთრებულ ყაირათიანობას იჩენს მახარაძის მაღაროთა სამმართველოს კოლექტივი.

ხუთწლედის დამდეგიდან „საქსამთოქმმრეწვის“ საწარმოთა უმრავლესობა განახლდა. მაღაროების, ქარხნებისა და გამამდიდრებელი ფაბრიკების რეკონსტრუქცია და ტექნოლოგიური პროცესების დახვეწა აქ ზშირად ელექტროენერგიის ეკონომიასთანაც არის დაკავშირებული.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება ლითონისა და ელექტროენერგიის მომჭირნეობით ხარჯვის შესახებ სამთოელთა საქმიანობის პროგრამად გადაიქცა. მომავალში წარმატებები ამ მიმართულებით უფრო დამაჯერებელი იქნება. ამჟამად მუშავდება ღონისძიებათა კომპლექსი, რომლის განხორციელებაც დაეხმარება მათ 1,5-2-ჯერ მეტი ელექტროენერგია დაზოგონ.

შ. ამაშუკელი,
„კომუნისტის“ კორ.

ამხანაგ ანდრია ანდრიას ძე გრომიკოს

სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო მხურვალედ მოგილოცავენ თქვენ, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს თვალსაჩინო მოღვაწეს, თქვენი 70 წლისთავის დღეს.

პარტიული და სახელმწიფო მუშაობის ყველა პოსტზე თქვენ მთელ ძალ-ღონეს და გამოცდილებას ახმართ კომუნისტური მშენებლობის საქმის უანგარო სამსახურს, მარქსიზმ-ლენინიზმის იდეალებს.

სულით და გულით გისურვებთ, ჩვენო ძვირფასო მეგობარო და ამხანაგო ანდრია ანდრიას ძე, ჯანმრთელობას, დღეგრძელობას და შემდგომ ნაყოფიერ მოღვაწეობას ჩვენი პარტიისა და საბჭოთა ხალხის საკეთილდღეოდ, კომუნიზმის გასამარჯვებლად.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

**სოციალისტური შრომის გმირის ამხანაგ ა. ა. გრომიკოს ლენინის ორდენითა და „ნამგალი და უროს“ მეორე medlit medlit medlit

პროგლემა: დავძლიოთ სოფლად ხუთწლედის სამ წელიწადში გამოვლენილი ნაკლოვანებანი!

ახალი ჰორიზონტები

გვესაუბრება საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი

შ. სანაკოევი

ორგანიზატორულ-პარტიული მუშაობის გაუმჯობესების შედეგად თანდათანობით იშლება ნეგატიურ მოგლენათა მძიმე კვალი. სოფელს გულიანი პატრონი გაუჩნდა, ამაღლდა მიწათმოქმედების კულტურა, მეცხოველეობის პროდუქტიულობა, მექანიზაციისა და მელიორაციის დონე, ქიმიზაცია მტკიცედ მკვიდრდება სამხრეთ ოსეთის სოფლებში, მიტოვებულ მიწებსა და სოფლებს უბრუნდებიან მშრომელები. მაგრამ შინაგანი ძალებით ძნელდება წინათ მოშლილი მეურნეობის აღდგენა. კვლავ გამოჩნდა ძმური დახმარების ხელი. „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 25 იანვრის დადგენილების მიზანია ჩამორჩენის აღკვეთა და ავტონომიური ოლქის სახალხო მეურნეობის ყველა დარგის აღმავლობა, ახალ რელსებზე მისი გადაყვანა.

ამ ისტორიული დადგენილების შესრულებისათვის ზრდნვა ოლქის პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, ყველა მშრომელის უპირველესი ვალია. დადგენილების „უსწრაფისი რეალიზაციის მიზნით სამხრეთ ოსეთის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე საპროგრამო მოსაზრებანი ჩამოაყალიბა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. შევარდნაძემ. შეიქმნა ამ დადგენილების შესრულების რესპუბლიკური კომისია, რომელსაც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ზ. პატარაძე ხელმძღვანელობს.

ამ დღეებში ზ. პატარაძემ ცხინვალში გამართა მინისტრთა საბჭოს გამსვლელი სხდომა, რომელმაც ოლქის სახალხო მეურნეობისა და კულტურის აღმავლობის კონკრეტული პრაქტიკული ღონისძიებები დასახა.

ამ სხდომის თავისებური გაგრძელება იყო პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის ბიუროსა და რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს კოლეგიის გაფართოებული, გაერთიანებული სხდომა, რომელიც 4 ივლისს გაიმართა ცხინვალში. სხდომაზე საფუძვლიანად განიხილეს ოლქის სოფლის მეურნეობის მდგომარეობა და დასახეს მისი უსწრაფესად გამოსწორების კონკრეტული ღონისძიებანი.

სხდომაზე „სამხრეთ ოსეთის საზოგადოებრივი მეურნეობების გასული წლისა და 1979 წლის პირველი ნახევრის შედეგებისა და ეკონომიკურად სუსტი, წამგებიანი მეურნეობების გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“ მოხსენება გააკეთა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მთავარი საფინანსო სამმართველოს უფროსმა ი. ლომიტაშვილმა, ხოლო „სამხრეთ ოსეთის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ეკონომიკის შემდგომი განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ“ — ოლქის სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა ლ. სანაკოევმა.

ოლქის რაიონების სოფლის სურათი ნათლად დახატეს პარტიის ჯავის, ლენინგორის, ცხინვალისა და ზნაურის რაიკომების პირველმა მდივნებმა ვ. ჩოჩიევმა, ნ. ოდიშვილმა, ფ. ჯიოევმა და ნ. ურჯუმელაშვილმა, აგრეთვე საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველმა მოადგილემ გ. ყიფიანმა.

სხდომაზე ხაზგასმით ითქვა, რომ მეცხოველეობაში, შეხილეობასა და მემინდვრეობაში მოპოვებული წარმატებანი საკმარისი არ არის. ოლქის დღევანდელი სოფელი არ შეესაბამება სკკპ XXV ყრილობის მოთხოვნებს, ხუთწლიანი გეგმის შესრულება საფრთხეშია. ფინანსური საქმე დაბალ დონეზეა, საბჭოთა მეურნეობების უმრავლესობა ზარალიანია.

იმისათვის, რომ შესრულდეს მეათე ხუთწლედის დავალებანი, საჭიროა მთელი შინაგანი და გარეშე რეზერვების, მთელი ძალების კონცენტრირება, საჭიროა შეუპოვარი ბრძოლა ჩამორჩენის მოსაფხვრელად.

მკვეთრად უნდა ამაღლდეს მეცხოველეობის პროდუქტიულობა. ეს დარგი ოდითგანვე პატივისცემით სარგებლობს ოსეთში. აქაურმა სოფლის მშრომელებმა პირუტყვის ჯარი მოვლა-პატრონობა იციან. მათ ხელი უნდა შეეუწყოთ, უნდა შეეუქმნათ მტკიცე საკვები ბაზა, გავაფართოოთ პირუტყვის საღგომთა მშენებლობა. სამხრეთ ოსეთის შესანიშნავი საძოვრები, ყუთთიანი თივა და სხვა საკვები, მთელი ბუნებრივი სიმდიდრე საზოგადოებრივი მეცხოველეობის აღმავლობას უნდა მოხმარდეს. ამავე დროს უნდა ვითარდებოდეს საკარმიდამო მეურნეობაც. საჭიროა დაჩქარდეს მთის საძოვრებთან და სათიბებთან გზების მოყვანა. ამ საქმეს შესანიშნავად აგვირგვინებს საბაგირო გზა რომლის გამოცდაც წარმატებით მოეწყო ჯავის რაიონში. ამ მხრივ ჯავა საცდელ-საჩვენებელ ბაზად გადაიქცევა.

პირუტყვის ზოოვეტერინარული მომსახურების გაუმჯობესება, ჯიშიანი პირუტყვის მომრავლება, მეცხოველეთა მატერიალური და მორალური წახალისება, მათი საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის ზრუნვა მეცხოველეობის პროდუქტიულობის ზრდისა და მთაში მოსახლეობის შენარჩუნების უცილობელი პირობაა.

განსაკუთრებულ ყურადღებას მივაქცევთ მთაში წვრილი მეურნეობის აღდგენასა და განვითარებას. ძლიერ დაშორებულ მეურნეობებში უნდა შეიქმნას პატარ-პატარა ფერმები, რაც ადგილზე დაამკვიდრებს და შრომასაც გაუადვილებს მუშახელს. ეს საშუალებას მოგვცემს მაქსიმალურად გამოვიყენოთ საძოვრები და გავაიაფოთ მეცხოველეობის პროდუქტები, რომლებიც ამჟამად საკმაოდ ძვირი ჯდება. მაგალითად, ცენტნერი ხორცის წარმოება დაეგვიანებლივ 59 პროცენტით მეტი დაჯდა, რძისა — 47 პროცენტით მეტი. ასევე დიდია ცენტნერი ხილის, კარტოფილის, ბოსტნეულის, მარცვლეულის წარმოების ხარჯები. ყოველივე ამის შედეგად საბჭოთა მეურნეობებმა სამეურნეო საფინანსო წელი 5.542 ათასი მანეთის ზარალით დაამთავრეს.

განსაკუთრებით გვაღელვებს ოლქის მეცხოველეობაში მექანიზაციის დაბალი დონე. მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს საზოგადოებრივი ბოსლების, კომპლექსებისა და ფარეხების მშენებლობას, კაპიტალდაბანდებთა ათვისების მდგომარეობას.

წელს კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სამეურნეობათაშორისო გაერთიანებების კაპიტალდაბანდების გეგმა მხოლოდ 26,8 პროცენტით შესრულდა, ე. ი. 2 მილიონ 215 ათასი მანეთიდან ათვისებულია 594 ათასი მანეთი.

მეტი ყურადღება მიექცევა სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამამზადებელ ორგანიზაციებს, მათთვის სათანადო მატერიალურ ტექნიკური ბაზის შექმნას, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით ოლქის მომარაგების საკითხებს. არსებული ტექნიკა ძალზე მცირეა, არ გვყოფნის ტრაქტორები, სათიბი აგრეგატები, ავტომანქანები. რის გამოც ფერხდება მთელი რიგი სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები, განსაკუთრებით სენაჟის ჩადება. დიდ საზრუნავს გვიჩენს აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო კადრების, უფრო მეტად კი წარმოების საშუალო რგოლის სპეციალისტების სიმცირე.

პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტისა და რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს კოლეგიის გაერთიანებულმა სხდომამ მიიღო მეტად კონკრეტული დადგენილება, რომელიც მიზნად ისახავს ოლქის სოფლის მეურნეობის ახალ რელსებზე გადაყვანას. ეს გულისხმობს ოლქის სამთო მეცხოველეობის მკვეთრ აღმავლობას, რისთვისაც, უწინარეს ყოვლისა, საჭიროა სწრაფად დამთავრდეს მეცხოველეობის სადგომების მშენებლობა და განხორციელდეს მათი მექანიზაცია, შეიცვალოს ნათესი კულტურების სტრუქტურა, გაუმჯობესდეს მელიორაცია და ქიმიზაცია, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით სოფლის აღჭურვა.

სხდომის მონაწილენი კმაყოფილებით გაეცნენ საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის გადაწყვეტილებებს იმის შესახებ, რომ მოეწყოს ოლქის სოფლის მეურნეობა ისე, როგორც მოთხოვს ამას სკკპ XXV და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობების გადაწყვეტილებანი.

მინისტრის დავალებით სოფლის მეურნეობის სამინისტროს ყველა სამმართველო გარკვეულ წესებს შეიტანს სამხრეთ ოსეთის სოფლის მეურნეობის აღმავლობასა და განვითარებაში. ეს თავის სიტყვაშიც აღნიშნა საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრმა შ. ეცადაშვილმა. იმედი გვაქვს, რომ სიტყვა საქმედ იქცევა და სამხრეთ ოსეთის მშრომელთა გარჯაც არ მოაკლდება გადაწყვეტილებათა შესრულებას.

რესპუბლიკის ზემდგომ პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებს მადლობას უხდიან ოლქის მშრომელები მათზე ასეთი ზრუნვისათვის.

ხუთუბარი ჩაიწერა „კომუნისტის“ ხაკ. კორესპონდენტმა **გ. თედეევმა.**



პირველი საბჭოთა ელმავალი, რომელსაც ლენინის სახელი ეწოდა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით წყლის მეურნეობის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის რესპუბლიკის ამ დარგის მუშაკთა დიდი ჯგუფი დაჯილდოვეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით; მშრომელთა ჯგუფებს მიენიჭათ საპატიო წოდებები: „საქართველოს სსრ დამსახურებული მელიორატორისა“, „საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერისა“, „საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის დამსახურებული ინჟინერისა“, „საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის დამსახურებული მექანიზატორისა“, „საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის დამსახურებული მუშაკისა“. (საქინფორმი).

გუდაუთა:

აწმყო და მომავალი

გუდაუთაში გაიმართა პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება, რომელმაც განიხილა, თუ როგორ სრულდება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება „აფხაზეთის ასს რესპუბლიკის გუდაუთის რაიონის შემდგომი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ღონისძიებათა შესახებ“. ინფორმაცია დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ გააკეთა საქართველოს კომპარტიის გუდაუთის რაიკომის პირველმა მდივანმა კ. ოზგანმა.

მოხსენებასა და ორატორთა გამოსვლებში აღინიშნა, რომ დადგენილების განხორციელების შედეგად რაიონი თანდათან სახეს იცვლის. გუდაუთისა და დაბა ახალი ათონის კეთილმოწყობისათვის მიმდინარე წელს დამატებით არის ასიგნებული ასი ათას მანეთზე მეტი.

საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრომ სახსრები გაიღო გუდაუთის ავტოსატრანსპორტო საწარმოს განმტკიცებისათვის, ფართოვდება შენობები, გამოყოფილია 47 სხვადასხვა ავტომანქანა. სოფელ აანში შენდება სამეურნეობათშორისო მეცხოველეობის კომპლექსი 600 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისათვის, დაიწყო რძის ფერმის, ავტოტურისტთა ხანგრძლივი ავტოსადგომის მშენებლობა.

მაგრამ ბევრი საკითხი ჯერჯერობით მაინც გადაუწყვეტელი რჩება, სხვადასხვა სამინისტროები და ა. შ. ეს ... ...

141-ე დღე ორბიტაზე

ვ. ლიახოვისა და ვ. რიუმინის კოსმოსური ექსპედიციის კალენდარში კვირას შუადღისას იხეთი მოვლენა მოხდა, რომელიც უთუოდ უნდა შევიდეს კოსმონავტიკის მსოფლიო მატიანეში. „სალუტ-6“ ორბიტული სადგურის მკვლევართა ეკიპაჟმა გადალახა ყველაზე ხანგრძლივი ფრენის (140 დღე-ღამე) ბიჯნა, რომელიც მათმა წინამორბედებმა ვ. კოვალიონოკმა და ა. ივანჩენკოვმა დაამყარეს. 140-ე დღე ეკიპაჟისათვის სრულიად შემთხვევით დასვენების დღე გამოდგა, და ამიტომ კოსმონავტებმა ტვირთნაკლული სეანსებში უფრო ლირიკული მოტივები სმენიათ, ვიდრე საქმიანი.

დღეით ოპერატორებმა მიკროფონები და საყურნელები გადასცეს კოვალიონოკსა და ივანჩენკოვს. მათ მეგობრებს უსურვეს წარმატებული მუშაობა და დედამიწაზე მშვიდობით დაბრუნება.

— კოსმოსური მარათონის ორგზის განმეორებული 140-დღიანი დისტანცია მართლაც მოწმობს კოსმოსური კვლევის ეფექტიანობის თვისებრივ ძვრებს. ახეთ ხანგრძლივ ექსპედიციებში, — აღნიშნა ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორმა კ. ფეოქტისტოვმა, — ეკიპაჟი ისე კარგად ეჩვევა კოსმოსში მუშაობის პირობებს და ისე თავისუფლად ერკვევა მეცნიერულ პროგრამაში, რომ ექსპედიციის მარგი ქმედების კოეფიციენტი მთლიანად პრაქტიკულად ორსამჯერ მატულობს ხანმოკლე ფრენასთან შედარებით. ახლა ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ორ საპირაპირო კვანძიან ხანგრძლივმოქმედ ორბიტულ სადგურებს სატვირთო ექსპედიციებს თუ მივაშველებთ, შეუძლიათ წლების მანძილზე იმუშაონ და წარმატებით შეასრულონ მეცნიერებისა და სახალხო მეურნეობის ბევრი დარგის სხვადასხვა შეკვეთა.

— ჩვენ ვსარგებლობთ დღევანდელი შეხვედრით, თქვა კ. ფეოქტისტოვმა, — და მადლობას ვუძღვნით „პროტონებს“ ორბიტაზე საიმედო მუშაობისათვის. ფრენის ხანგრძლივობის დამყარებული ახალი მოღწევის გარდა, ჩვენ აღვნიშნეთ კიდევ ერთი ნიშანსვეტი — ამ დღეებში ერთი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ორბიტული სადგური პილოტირებული რეჟიმით მუშაობს, ეხ კი ერთიორად სჯარბობს ამერიკული სადგურის „სკაილების“ მუშეობით მოწყობილი პილოტირებული ექსპედიციების საერთო ხანგრძლივობას.

ინჟინრებისათვის, რომლებიც ფრენის მართვას უძღვებიან, „სალუტ-6“-ის მესამე ექსპედიციას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. რადენიმე ბრწყინვალე მეცნიერული და ტექნიკური ამოცანა, ხაზი გაუსვა ფრენის ხელმძღვანელის მოადგილემ ვ. ბლაგოვმა, პირველად შესრულდა. პროფილაქტიკური რემონტისა და აღდგენითი ოპერაციების სპეციალისტებად ვ. ლიახოვისა და ვ. რიუმინის მუშაობამ გვიჩვენა, რომ „სალუტ-6“ ტიპის ორბიტულ სადგურს უდიდესი რეზერვები აქვს. ვ. ბლაგოვს ერთ-ერთ ყველაზე შესანიშნავ საინჟინრო ოპერაციად ჩაჰნია გაერთიანებული ძრავის დანადგარით მუშაობა, რაც რეალური კოსმოსური ფრენის რიულ პირობებში მიეწყო. დედამიწასა და ორბიტას შორის დამყარებულმა ტვირთნაკლის სისტემამ შესაძლებლობა მოგვცა არა მარტო დროულად მოგვემარაგებინა ექსპედიცია საწვავითა და მეცნიერული მასალით, არამედ მოგვეწყო კიდეც მთელი რიგი ორბიტული ჰაბვრები, რომლებიც საჭიროა ექსპედიციის წარმატებით განგრძობისათვის. სულ ცოტა ხნის წინ „პროგრეს-7“, სატვირთო ხომალდის ძრავების მეშვეობით კვლავ ავამაღლეთ სადგურის ორბიტა. მისი სიმაღლე ახლა 399-411 კილომეტრს შეადგენს. ახე მაღლა „სალუტებს“ ჯერ არ უმუშავიათ. შესაბამისად გაიზარდა ორბიტული დღე-ღამის დროც. სადგური ახლა ერთ გარშემოვლას 92,5 წუთს ანდომებს.

განვარტავენ რა მეორე 140-დღიანი ფრენის წარმატებას, მედიკოსები უურადღებას მიაპყრობენ იმას, რომ სიცოცხლის უზრუნველყოფის სისტემებში გადიდდა სიმტკიცის მარგი. გულდასმით მომზადებულმა ფიზიკური ვარჯიშისა და ფსიქოლოგიური გამხნევების სისტემამ თითოეულ კოსმონავტს შესაძლებლობა მისცა პრაქტიკულად უვნებლად შეეძინა ახალ პირობებში მუშაობის უნარი და აგერ უკვე ოთხ თვეხუკვარია თავს ჯანმრთელად გრძნობენ.

— მიუხედავად იმისა, რომ ეკიპაჟი დიდი შრომისუნარიანობით გამოირჩევა და კვლავინდებურად მხნედ არის, ჩვენ გულდასმით ვადევნებთ თვალს ეკიპაჟის თითოეულ წევრს, თქვა მედიცინის მეცნიერებათა დოქტორმა ა. იგოროვმა.

ნ. ჟელეზნოვი,
საკდესის სპეც. კორ.
ფრენის მართვის ცენტრი.

საბჭოთა ხალხის გმირობა

პრაღა, 16 ივლისი. (საკდესი). პრაღის გამომცემლობა „თავისუფლებამ“ ჩეხურ ენაზე გამოსცა ხკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრკ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის მოგონებების კრებული, რომელშიც შევიდა მისი წიგნები „მცირე მიწა“, „აღორძინება“ და „ჯამირი“.

ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრიობა უდიდესი ინტერესით შეხვდა ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ცალკეულ გამოცემებად გამოსულ წიგნებს, რომლებშიც განზოგადებულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მშრომელების უმდიდრესი გამოცდილება, ასახულია ხალხის დიადი გმირობა სამამულო ომის, სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების წლებში, განაცხადა გამომცემლობის დირექტორმა ვ. პოლონსკიმ. ფაშიზმის წინააღმდეგ ომის, საბჭოთა ეკონომიკის აღდგენის და ყამირის გატების გმირული ეპოპეის უშუალო მონაწილის ალალმართალი მოგონებანი ღრმად სწვდება გულში ჩვენს ახალგაზრდობას და უფროსი თაობის ადამიანებს. მასობრივ ტირაჟად გამოცემული ლ. ი. ბრეჟნევის მოგონებათა კრებული ჩვენს მკითხველებს დაეხმარება უკეთ ჩასწვდნენ ომისა და მშვიდობიანი მშენებლობის წლებში საბჭოთა ხალხის გმირობის სიდიადეს.

თავის ნაწარმოებებში, თქვა მან, ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი აშუქებს საბჭოთა ადამიანის ყველაზე დამახასიათებელ ნიშან-თვისებებს — სამშობლოს სიყვარულს, მტკიცე მებრძოლურობას, იდეურ მრწამსს, მამაცობას, დიადი გმირობისათვის მზადყოფნას. კომუნისტური პარტიის მიერ ჩანერგილი ეს კეთილშობილური თვისებები ყოველმხრივ ეისახა ლ. ი. ბრეჟნევის წიგნებში. განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო, რომ მოგონებათა ავტორი აშუქებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის — საბჭოთის ხალხთა ყველა გამარჯვების ხელისჩამდგმელისა, და ორგანიზატორის დაუღალავ მოღვაწეობას.

მრისხანე განაჩენი

კარაკასი, 16 ივლისი. (საკდესის კორ.). აქ გაიმართა ნიკარაგუელი ხალხის ბრძოლასთან სოლიდარობის საერთაშორისო კონფერენცია, რომელზეც მსოფლიოს დემოკრატიული საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა განცხადებები გაისმა როგორც მრისხანე განაჩენი იმპერიალიზმისა და რეაქციის ძალებისადმი, რომლებიც ნიკარაგუელი ხალხის საშინაო საქმეებში ჩარევის გეგმებს სახავენ.

ვენესუელის უდიდესმა პროფკავშირებმა, კომპარტიამ და სხვა მემარცხენე პოლიტიკურმა ორგანიზაციებმა, ქვეყნის ახალგაზრდულმა, სტუდენტურმა და ქალთა ფედერაციებმა ფორუმზე საჯაროდ წაიკითხეს ერთობლივი მიმართვა, რომელშიც მსოფლიოს ხალხებს მოუწოდებენ არ დაუშვან შეიარაღებული ინტერვენცია ნიკარაგუაში. ნიკარაგუელმა ხალხმა, აღნიშნულია დოკუმენტში, უკვე ფაქტიურად სამხედრო და პოლიტიკური დამარცხება აგემა სომოსას და მის იმპერიალისტ დამქაშებს. ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტური წრეები, რომლებიც ნიკარაგუაში კოლონიური პატრონობის შენარჩუნებას ცდილობენ, ყოველნაირ დიპლომატიურ და პოლიტიკურ მანევრებს მიმართავენ და არ ფარავენ თავიანთ განზრახვას, რადაც არ უნდა დაუჯდეთ ხელი შეუშალონ ქვეყნის პროგრესულ ძალთა გამარჯვებას. სომოსას რეჟიმის სრული იზოლაცია, ამერიკის შეერთებული შტატებისა და მისი დამქაშების ხრიკების დაგმობა, პატრიოტებისთვის ყოველნაირი დახმარების გაწევა და ბრძოლა იმისათვის, რომ ცნონ ეროვნული აღორძინების დროებითი დემოკრატიული მთავრობა, ხაზგასმითაა აღნიშნული მიზნდებაში, ასეთია ნიკარაგუის გმირ ხალხთან სოლიდარობის საერთაშორისო კამპანიის ძირითადი ამოცანები.

ფორუმის მონაწილენი სულგანაბულნი უსმენენ სანდინოს სახელობის ეროვნული განთავისუფლების ფრონტის სპეციალურ მისალმებას, რომელიც გადმოსცა პატრიოტების რადიოსადგურმა „სანდინოს რადიომ“. იგი ნიკარაგუის განთავისუფლებულ ტერიტორიაზე მოქმედებს. ეთერში მტკიცედ გაისმის დიქტორის ხმა, რომელიც მსმენელებს აუწყებს, რომ პატრიოტული ძალები მზად არიან დაამხონ ძირმომპალი ხროვა. ამ გადამწყვეტ საათში, აღნიშნულია მისალმებაში, ფართო საერთაშორისო სოლიდარობა საუკეთესო წყალია ნიკარაგუელი ხალხის მოახლოებული გამარჯვების საქმეში.

ნიკარაგუელი პატრიოტების მხარდასაჭერად კონფერენციაზე ერთობლივი განცხადება გააკეთა იმ დელეგატთა ჯგუფმა, რომლებიც აფრიკის, აზიისა და ლათინური ამერიკის მთელ რიგ ეროვნულ განმათავისუფლებელ მოძრაობებსა და პროგრესულ ორგანიზაციებს წარმოადგენენ.

მამაც ნიკარაგუელ პატრიოტებთან სოლიდარობა გამოხატეს მექსიკის, ბელგიის, ესპანეთის დელეგატებმა, აგრეთვე მთელი რიგი დემოკრატიული საერთაშორისო ორგანიზაციების წარგზავნილებმა.

ერთიანობის ინტერესებისათვის

ვარშავა, 16 ივლისი. (საკდესი). პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ განიხილა სოციალისტური ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების ცენტრალური კომიტეტების მდივანთა ბერლინის თათბირზე წარგზავნილი პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის დელეგაციის ანგარიში.

პოლიტბიურომ მოიწონა დელეგაციის მუშაობა, აგრეთვე ცნობა თათბირის შედეგების შესახებ და მოწოდება „ინტერნაციონალისტური სოლიდარობისათვის“. ცენტრალური კომიტეტის შესაბამის განყოფილებებს და პარტიულ ორგანოებს დაევალათ უზრუნველყონ თათბირზე შეთანხმებულ ღონისძიებათა სრული და ზუსტი განხორციელება.

ჟორჟ ვალდჰაიმი ანგოლაში

ლუანდა, 16 ივლისი. (საკდესი). ანგოლის სახალხო რესპუბლიკაში ანგოლის მთავრობა, მოწვეული ოფიციალურ ვიზიტად იმყოფება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი ჟორჟ ვალდჰაიმი. საპატიო სტუმრის პატივსაცემად გამართულ დაბანაზობაზე ანგოლის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტმა ა. ნეტომ და გენერალურმა მდივანმა ჯ. ვალდჰაიმმა სიტყვები წარმოთქვეს.

ანგოლამ, თქვა ა. ნეტომ, კოლონიალიზმის მრავალსაუკუნოვანი ჩაგვრა განიცადა და არ დაიხევს უკან, კვლავ განაგრძობს თავისუფლებისათვის ბრძოლას.

საპასუხო სიტყვა წარმოთქვა ჯ. ვალდჰაიმმა, რომელმაც მაღალი შეფასება მისცა ანგოლელი ხალხის წარმატებებს.

ქალთა თანასწორუფლებიანობისათვის

ნიუ-იორკი, 16 ივლისი. (საკდესი). ოჰაიოს შტატის ქალაქ ცინცინატში დამთავრდა ამერიკის შეერთებული შტატების ქალთა ეროვნული პოლიტიკური კრების ყრილობა. ყრილობის ორი ათასმა მონაწილემ შეიმუშავა სტრატეგია, თუ როგორ უზრუნველყონ ქალთა მაქსიმალური წარმომადგენლობა ქვეყნის ორი მთავარი ბურჟუაზიული პარტიის — დემოკრატიულ და რესპუბლიკური პარტიების ყრილობებზე. როგორც ცნობილია, პარტიები გაისად თავიანთ კანდიდატურებს დასახელებენ შეერთებული შტატების პრეზიდენტის პოსტზე. ყრილობის მონაწილეთა აზრით, ამ არჩევნებზე აქტიური გავლენის შესაძლებლობა ხელს შეუწყობს მათ შეიპირონ მომავალი კანდიდატები, რომ ბოლო მოეღება ამერიკელ ქალთა არათანასწორუფლებიანობას ქვეყნის ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ქალთა ეროვნულ პოლიტიკურ კრებას, რომლის რიგებში 45 შტატის წარმომადგენელი 40 ათასამდე პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე ქალია, თავის მეორე შიზნად მიაჩნია კონსტიტუციის 27-ე გასწორების რატიფიკაცია, რომელიც სჭესთა თანასწორუფლებიანობას ეხება. ამ გასწორების გამო, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესმა ჯერ კიდევ 1972 წელს მოიწონა ცხარე ბრძოლა გაჩაღდა. იმისათვის, რომ კონსტიტუციის ნაწილი გახდეს, მას რატიფიკაცია უნდა უყონ 38 შტატის საკანონმდებლო კრებებმა. დღესდღეობით რატიფიკაცია მიღწეულია 35 შტატში.

ვაშინგტონი, 16 ივლისი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ჯ. კარტერი გამოვიდა ეროვნული ტელევიზიით და თავის სიტყვაში გააშუქა ქვეყნის ყველაზე მწვავე ეკონომიკური და საშინაო-პოლიტიკური პრობლემები.

პრეზიდენტმა აღიარა, რომ ადმინისტრაციის სათავეში მისი ყოფნის მანძილზე ვერ მოუღეს ბოლო ენერგეტიკულ კრიზისს. მაგრამ, თქვა მან, „ჩვენი ქვეყნის ჰეშმარიტი პრობლემები გაცილებით უფრო ღრმაა, ვიდრე ბენზინზე რიგში დგომა ან ენერგიის ნაკლებობა, უფრო ღრმაა, ვიდრე თვით ინფლაცია ან დაქვეითება“. ამ პრობლემების არსია, განაგრძო შემდეგ პრეზიდენტმა, „ნდობის კრიზისი, კრიზისი, რომელიც ლახვარს სცემს ჩვენი ეროვნული ნების სულსა და გულს, სულისკვეთებას“, რაც მისი თქმით, სერიოზულ საფრთხეს უქადის ამერიკული ცხოვრების წესს.

„ამ კრიზისის სიმპტომები, — აღნიშნა პრეზიდენტმა, — ჩვენს გარშემო ყველგან ვლინდება. ჩვენი ხალხის უმრავლესობას მიაჩნია, რომ მომდევნო ხუთი წელი უარესი იქნება, ვიდრე უკანასკნელი ხუთი წელი. ჩვენი მოსახლეობის ორი მესამედი არჩევნებში არც კი მონაწილეობს. ამერიკელი მუშების შრომის ნაყოფიერება მცირდება. სულ უფრო უპატივცემლოდ ეკიდებიან მთავრობას, ეკლესიას, სკოლებს, ინფორმაციის საშუალებებს და სხვა ინსტიტუტებს“.

„ეს ცვლილებები, — თქვა ჯ. კარტერმა, — ჩვენ თანდათან ვეჩვევიანლოვდებოდნ უკანასკნელი 30 წლის მანძილზე, ძვრებითა და ტრაგედიებით აღსავსე წლებში. ჩვენ გვეგონა, რომ ჩვენს ქვეყანაში საკითხები წყდება კენჭის საყრელ ჯიხურებში, და არა მაშხანის ტყვიით, მაგრამ ასე გვეგონა მხოლოდ ჯონ და რობერტ კენედების და მარტინ ლუთერ კინგის მკვლელობებამდე“. „ჩვენ გვასწავლიდნენ, რომ ჩვენი არმია მუდამ უძლეველია, ხოლო ჩვენი მიზნები მუდამ სამართლიანი, ამის შემდეგ კი ვიეტნამის ომონია განვიცადეთ. ჩვენ პატივისცემით ვეკიდებოდით პრეზიდენტის ხელისუფლებას როგორც პატიოსნების განსახიერებას, სანამ უოტერგეიტის უბედურება დაგვატყდებოდა თავს“.

„ყველა ეს ჭრილობა, — განაცხადა მან, — ღრმად დაგვრჩა და ჯერაც არ შეგვხორცებია“. შემდეგ პრეზიდენტმა აღნიშნა: „ფედერალური მთავრობა გარიყულია ჩვენი ქვეყნის ცხოვრების ძირითადი ნაკადისაგან. ვაშინგტონი კუნძულად გადაიქცა. ჩვენს მოქალაქეებსა და ჩვენს მთავრობას შორის არასდროს არ ყოფილა ესოდენ ღრმა უფსკრული. ჩვენ ვხედავთ, რა გაწამაწიაში აგდებს კონგრესს ასობით გავლენიანი და მდიდარი დაჯგუფება, რომლებიც თავთავიანთი ინტერესებისათვის იღვწიან. ხშირად ვართ სრული უმოქმედობის, უძრაობის ან დაცემის მოწმენი“.

შემდეგ ჯ. კარტერმა დაწვრილებით გააშუქა ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიკური პრობლემები. 10 წლის ინფლაციამ, თქვა მან, ძირი გამოუთხარეს ამერიკული დოლარის პოზიციებს.

შეეხო რა ენერგეტიკულ კრიზისს, პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ ეს რეალობაა, რომელსაც გლობალური მასშტაბი აქვს, და დასძინა, რომ კრიზისი გაზრდილი ინფლაციისა და უმუშევრობის უშუალო მიზეზია.

მან თქვა, რომ სათბობის პრობლემა საფრთხეს უქადის ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიკურ დამოუკიდებლობას და უშიშროებას, და ამასთანავე შეეცადა შექმნილი მდგომარეობისათვის პასუხისმგებლობა გადაეკისრებინა ნავთობის მწარმოებელი ქვეყნების ორგანიზაციისათვის (ოპეკისთვის), რომელმაც ამას წინათ მიიღო გადაწყვეტილება ნავთობის ფასების გადიდების შესახებ.

ამავე დროს კარგად არის ცნობილი, რომ ამერიკის მონოპოლიები ათობით წლის მანძილზე პარაზიტობდნენ განვითარებადი ქვეყნების ნავთობით, რომელიც ჩალის ფასად გაჰქონდათ.

ჯ. კარტერმა გამოაცხადა მთავრობის ახალი 6-პუნქტიანი ენერგეტიკული პროგრამა. კერძოდ, იგი ითვალისწინებს ისეთ ღონისძიებებს, როგორიც არის ნავთობის იმპორტის გაყინვა 1977 წლის დონეზე, საიმპორტო კვოტების შემოღება 1979-1980 წლებისათვის, ზელიმიტური ნავთობის შემოტანის აკრძალვა, აგრეთვე ასიგნებანი თვით შეერთებულ შტატებში სათბობის ალტერნატიული წყაროების განვითარებისათვის.

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის გამოსვლა

ნიკარაგუის ამბები

ვიბრძოლებთ გამარჯვებამდე!

საკდესის სპეც. კორ. ვ. შეხოვეცოვი ნიკარაგუის განთავისუფლებული რაიონიდან გადმოგვცემს:

„ვიბრძოლებთ გამარჯვებამდე, რათა ნიკარაგუას თავისუფლება მოვუტანოთ!“ — ნიკარაგუელი პატრიოტების ჰიმნის ამ სიტყვებით იწყებს თავის გადაცემებს რადიოსადგური „სანდინოს რადიო“, რომელიც ნიკარაგუის ერთ-ერთ განთავისუფლებულ რაიონში მუშაობს.

აჯანყებულთა სამხრეთის ფრონტის სარდლობამ საშუალება მოგვცა ეწვეოდით რადიოსადგურს და გავეცნობოდით მის მუშაობას. მიუხედავად იმისა, რომ „სანდინოს რადიო“ სულ რაღაც ნახევარი წელია რაც მოქმედებს, იგი ძალზე პოპულარულია ნიკარაგუაში, თქვა საკდესის კორესპონდენტთან საუბარში რადიოსადგურის დირექტორმა მარიომ.

ჩვენი რადიოგადაცემების პროგრამების შედგენისას, მოგვითხრობს მარიო, ვითვალისწინებთ, რომ ნიკარაგუელთა დაახლოებით 70 პროცენტმა არ იცის წერა-კითხვა. რადიო მათთვის ინფორმაციის ერთადერთი წყაროა.

მარიო გვიჩვენებს რუკას, რომელზეც აღნიშნულია საკონტროლო პუნქტები და ამ პუნქტებში „სანდინოს რადიოს“ გადაცემათა სმენადობის შეფასება. როგორც ხედავთ, თქვა მან, ჩვენი ხმა კარგად ისმის ნიკარაგუის მთელ ტერიტორიაზე, აგრეთვე მეზობელ ქვეყნებში — ჰონდურასში, კოსტა-რიკაში, სალვადორსა და გვატემალაში, სადაც იმყოფება ათობით ათასი ნიკარაგუელი ლტოლვილი, რომლებიც გაიქცნენ გენოციდს, სომოსას რეჟიმი რომ ახორციელებდა. ისინი ელიან ჩვენს გადაცემებს, ფრონტის მებრძოლთა წარმატებებით ხარობენ და განიცდიან მათ მარცხს. ჩვენ გადავცემთ აგრეთვე ცნობებს ქვეყნის „განთავისუფლებულ“ რაიონებში ხალხის მიერ არჩეული ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოთა საქმიანობის შესახებ.

* * *

სურათზე: სანდინოს სახელობის ეროვნული განთავისუფლების ფრონტის მეომრები ნიკარაგუის სამხრეთ რაიონებში ბრძოლის დროს.

აპ-საკდესის ტელეფოტო.

ყოველი მხრიდან

17 ივლისი

ბონი. გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ყველა ნეონაცისტური ორგანიზაციისა და დაჯგუფების, აგრეთვე ნაცისტური იდეოლოგიის ყოველგვარი პროპაგანდის აკრძალვა მოითხოვა ნაციზმის დროს დევნილ პირთა გაერთიანების — ანტიფაშისტთა კავშირის პრეზიდიუმმა. აქ გამოქვეყნებულ განცხადებაში.

ბეირუთი. ლიბანის დედაქალაქში გამოაცხადეს, რომ შეიქმნა ქვეყნის ახალი მთავრობა. მას კვლავ მეთაურობს ხელმძღვანელი ჰოსი, რომელსაც პრემიერ-მინისტრის პოსტი ეკავა წინა მთავრობაშიც. პრემიერ-მინისტრის მოადგილედ და საგარეო საქმეთა მინისტრად დანიშნულია ფუად ბუტროსი, თავდაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრად — ელიეზერ სკაფი.

მაპუტუ. გამოქვეყნდა მწიის კანონი, რომელიც მოზამბიკის სახალხო ასამბლეის უკანასკნელ სხდომაზე მიიღეს. კანონი ადგენს, რომ მიწა სახალხო მოზამბიკში სახელმწიფოს საკუთრებაა. შინა მეთაურობს სახალხო წარმომადგენელთა საბჭოს (პარლამენტის) თავმჯდომარე დარიატმო. როგორც ინდონეზიის პრესის საინფორმაციო იუწყება, სახელმწიფოს მეთაურმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ დელეგაციის წევრებმა ყველაფერი უნდა იღონონ ინდონეზიისა და საბჭოთა კავშირის ურთიერთგაგების გაღრმავებისათვის.

ინდონეზიის პარლამენტის დელეგაცია ეწვევა აგრეთვე მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკას. (საკდესი).

ჰავანა. გრენადის დედაქალაქ სენტ-ჯორჯესში მიმდინარეობს კარიბის ზღვის კუნძულოვანი სახელმწიფოს — გრენადის, დომინიკის და სენტ-ლუსიის მთავრობათა მეთაურების შეხვედრა. მისი მონაწილენი — მორის ბიშოპი, ოლივერ სერგეონი და ალან ლუისი — ცხრაკენ თავიანთი ქვეყნების კავშირურთიერთობისა და სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობის განვითარების საკითხებს.

დიდი უურადღება ეთმობა კარიბის გაერთიანების ორგანიზაციის მდგომარეობას.

ჯაკარტა. ინდონეზიის პრეზიდენტმა სუსარტომ დღეს მიიღო პარლამენტის დელეგაცია, რომელიც 20 ივლისს სახალხო კავშირში გაემგზავრება. მას მეთაურობს სახალხო წარმომადგენელთა საბჭოს (პარლამენტის) თავმჯდომარე დარიატმო. როგორც ინდონეზიის პრესის საინფორმაციო იუწყება, სახელმწიფოს მეთაურმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ დელეგაციის წევრებმა ყველაფერი უნდა იღონონ ინდონეზიისა და საბჭოთა კავშირის ურთიერთგაგების გაღრმავებისათვის.

ინდონეზიის პარლამენტის დელეგაცია ეწვევა აგრეთვე მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკას. (საკდესი).

წიგნის თარო

მაოიზმის ანტისოციალისტური არსი

თანამედროვე ეპოქას მსოფლიო რევოლუციური პროცესის შემდგომი გაღრმავება, ანტიიმპერიალისტური ძალების ერთიანობის განმტკიცება ახასიათებს. ძირეულად იცვლება ძალთა თანაფარდობა მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის სასარგებლოდ. მსოფლიო სოციალისტური სისტემის არსებობა, მისი ძალა და ძლიერება წარმოადგენს იმ მთავარ ფაქტორს, რომელიც ამცირებს ორ დაპირისპირებულ სოციალურ სისტემას შორის არსებულ წინააღმდეგობათა ომის გზით გადაწყვეტის შესაძლებლობას. ჩვენს დღეებში დაძაბულობის შენელება გაბატონებულ ტენდენციად იქცა, ხოლო მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპი საყოველთაო აღიარებას პოულობს მსოფლიო საზოგადოებრიობის ფართო წრეებში.

ამავე დროს, როდესაც მშვიდობის პროგრამას ახალი ჰორიზონტები დაუსახა სკკპ XXV ყრილობამ, მთელი პროგრესული კაცობრიობის შეშფოთებას იწვევს მაოისტთა პოლიტიკა. სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი სკკპ XXV ყრილობაზე თავის მოხსენებაში სპეციალურად შეჩერდა პეკინელ გამთიშველთა საგარეო-პოლიტიკურ კურსზე და ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ „ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხს დიდ საფრთხეს უქადის პეკინის გაფაციცებული ცდები, ჩაშალოს დაძაბულობის შენელება, არ დაუშვას განიარაღება, უნდობლობა და შუღლი ჩამოაგდოს სახელმწიფოთა შორის. პეკინის ასეთი პოლიტიკა ღრმად ეწინააღმდეგება ყველა ხალხის ინტერესებს... ახლა უკვე ცოტაა იმის თქმა, რომ მაოისტური იდეოლოგია და პოლიტიკა შეუთავსებელია მარქსისტულ-ლენინურ მოძღვრებასთან. იგი აშკარად მტრულია მისდამი“.

გ. ხუნწარიის წიგნი „მაოიზმის ანტისოციალისტური არსი“ გამოსცა გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“. მასში განხილულია მაოიზმის წარმოშობის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური მიზეზები, დახასიათებულია მისი, როგორც საერთაშორისო კომუნისტურ, მუშათა და ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში უკიდურესად ოპორტუნისტული, „მემარცხენე“ მიმდინარეობის რევიზიონისტული არსი, მხილებულია მაოისტთა დიდმპყრობელურ-შოვინისტური და ჰეგემონისტური მიზნები, გაშუქებულია მოძმე კომუნისტური და მუშათა პარტიების ბრძოლა მაოიზმის წინააღმდეგ.

წიგნი ხუთი თავისაგან შედგება. მაოიზმის წარმოშობის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური მიზეზების ანალიზის დროს ავტორი აქ უწინარეს ყოვლისა მიუთითებს ჩინეთის საზოგადოების განსაკუთრებით წვრილბურჟუაზიულ ხასიათზე, ქვეყნის განვითარების უკიდურესად დაბალ დონეზე, რა თქმა უნდა, ამ ფაქტორს ავტომატურად არ განუსაზღვრავს მაოიზმის, როგორც ანტიმარქსისტული მიმდინარეობის წარმოშობა. სოციალისტური ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მაღალი ან დაბალი დონე, მისი მოსახლეობის პროლეტარული თუ წვრილბურჟუაზიული შემადგენლობა სრულიადაც არ განაპირობებს სწორ ან არასწორ პოლიტიკურ კურსს, მაგრამ ობიექტურად ამ ფაქტორს არ შეიძლება მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა ჰქონდეს. მით უფრო, რომ ჩინეთის მაოისტური ხელმძღვანელობა შენიღბულად (მაგრამ მაინც საკმაოდ თვალსაჩინოდ) უარყოფდა მუშათა კლასის, როგორც რევოლუციის ჰეგემონის, სოციალისტური მშენებლობის ხელმძღვანელის როლს.

ჩინეთში ნაციონალისტურ გაწყობილებათა ფართო გავრცელებას ხელს უწყობდა ის გარემოებაც, რომ ქვეყანას საუკუნეების მანძილზე მონღოლ-მანჯურიელ დამპყრობთა უღელი ედგა. ბრძოლა ეროვნული განთავისუფლებისათვის, რაც რა თქმა უნდა, სავსებით სამართლიანი და პროგრესული საქმე იყო, ამასთან ერთად ზრდიდა ნაციონალიზმის ელემენტებსაც. ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ქვეყნის მმართველებს ჩინელი ხალხი ჰყავდათ სამყაროსაგან ბარბაროსული და ჰერმეტული იზოლაციის მდგომარეობაში. ჩინეთის კომპარტიაში არსებობდა ინტერნაციონალისტური მიმდინარეობა, მაგრამ მისი ბრძოლა ნაციონალიზმისა და შოვინიზმის წინააღმდეგ არ ატარებდა თანამიმდევრულ და მტკიცე ხასიათს. სამწუხაროდ, მათ პარტიაში გაბატონებული მდგომარეობა დაიკავეს.

წიგნში გადმოცემულია მაოიზმის ჩამოყალიბების მოკლე ისტორია. ამ გზაზე მნიშვნელოვანი ეტაპი იყო „მარქსიზმის გაჩინურების“ დებულების წამოყენება, რაც ჩინეთის სპეციფიკური პირობებისადმი მარქსიზმ-ლენინიზმის გამოყენების საბაბით ფაქტიურად მოასწავებდა მარქსიზმ-ლენინიზმის შეცვლას „მაო ძედუნის იდეებით“, მნიშვნელოვან ეტაპს ჩინეთის კომპარტიის მაოისტური ხელმძღვანელების გადაგვარების გზაზე წარმოადგენდა „მოძრაობა სტილის მოწესრიგებისათვის“, რომელიც გრძელდებოდა 40-იანი წლების შუა ხანებამდე.

მეორე მსოფლიო ომის შედეგებმა, საბჭოთა კავშირის საერთაშორისო ავტორიტეტის ზრდამ 40-იანი წლების მეორე ნახევარში მაოისტები აიძულა დასდგომოდნენ საბჭოთა კავშირთან თანამშრომლობის გზს. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის შექმნის შემდეგ ჩინელმა მეჩიდრო თანამშრომლობა დაამყარა საბჭოთა კავშირთან, სოციალისტურ სახელმწიფოებთან. ჩინეთის კომპარტიის VIII ყრილობამ (1956 წ.) ამოიღო წინა ყრილობის ფორმულირება „მაო ძე-დუნის იდეების“ შესახებ და პარტიის მოღვაწეობის საფუძვლად გამოაცხადა მარქსიზმ-ლენინიზმი.

მაგრამ უკვე VIII ყრილობის მეორე სესიაზე (1958 წ.) გამოცხადებულ იქნა „სამი წითელი დროშის“ ახალი „გენერალური ხაზის“, „სახალხო კომუნების“ და „დიდი ნახტომის“ ავანტიურისტული მაოისტური კურსი.

მაოიზმის ევოლუციის შემდეგი ეტაპი იყო ე. წ. „დიდი პროლეტარული კულტურული რევოლუცია“, რომელმაც ფაქტიურად მოსპო ჩინეთის კომუნისტური პარტია. კომპარტიის X ყრილობამ მიზნად გამოაცხადა „კულტურული რევოლუციის“ მონაპოვართა განმტკიცება, რასაც მოჰყვა ლინ ბიაოს და კონფუცის კრიტიკა.

შრომაში დიდი ადგილი ეთმობა 1975 წლის იანვარში მიღებული ახალი კონსტიტუციის განხილვას. აქ დადასტურებულად არის ნაჩვენები მაოისტთა მტკიცების სიყალბე, თითქოს ეს კონსტიტუცია წარმოადგენდეს 1954 წლის კონსტიტუციის „გაგრძელებას და განვითარებას“. ჩინეთის 1975 წლის კონსტიტუცია არსებითად მაო ძე-დუნის ციტატების კრებულია. ამავე თავში განხილულია ჩინეთის ეკონომიკის განვითარების თავისებურებანი, ნაჩვენებია, რომ მაოისტების ეკონომიკური პოლიტიკა ცალ

სსრ კავშირის ხალხთა
VII სპარტაკიადა

ჩვენი სპეციალური კორესპონდენტები ჯ. ენუქიძე და გ. გამრეკელი გვატყობინებენ.

მუშაკეტერები მახვილს არ აგებენ

მოსკოვი. 17 ივლისი. ტელეფონით. დღეს მოფარიკაჟეები გვიან ღამით დაამთავრებენ სასპარტაკიადო შეჯიბრებას. დღესვე შეჯამდება საბოლოო შედეგები, მწვრთნელებს და სპორტსმენებს კი ახალი სტარტებისათვის მზადების ჟამი დაუდგებათ. ასეთია თანამედროვე სპორტის კანონი. თუ წინსვლა გინდა, ერთი ასპარეზობის დამთავრებისთანავე სამერმისო შეჯიბრებაზე უნდა იზრუნო. დაშნით მოფარიკაჟეთა საბოლოო შედეგები ცოტა მოგვიანებით დაჯამდა, მაგრამ ერთი რამ უკვე ნათელია: ამ სახეობის ფარიკაობაში ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა რაპირისტებზე და ხმლით მოფარიკაჟეებზე უარესად იასპარეზეს. დაშნით მოფარიკაჟეთა გუნდში ჩასათვლელი ქულა ვერ მოიპოვა, ვინაიდან იგი 8 საუკეთესო კოლექტივს შორის ვერ მოხვდა. საერთოდ კი დანარჩენ სახეობათა ფარიკაობაში მხოლოდ გუნდურ შეჯიბრებებში შევძელით ქულათა მარაგის დაგროვება. რაც შეეხება პირად ასპარეზობას, აქ საქართველოს ვერც ერთმა სპორტსმენმა ვერ მოახერხა იმ 8 საუკეთესოს შორის გაეკაფა გზა, სადაც ქულათა გარკვეული რაოდენობის მოგროვება შეიძლება. შეგახსენებთ, რაპირისტმა ვაჟებმა გუნდურ პაექრობაში მე-8 ადგილი დაიკავეს და 18 ქულა მიიღეს, რაპირისტმა ქალებმა — მე-5 ადგილი და 34 ქულა, ხოლო ხმლით მოფარიკაჟეებმა — მე-4 ადგილი და 40 ქულა. ჩვენმა

სურათზე: დავით ჯუგაშვილი (ზემოდან) სამბისტთა ტურნირზე მესამე ადგილისათვის გადამწყვეტი ბრძოლის დროს.

მოფარიკაჟეებმა სასპარტაკიადო ყულაბაში სულ 92 ქულა შეიტანეს. ახლა ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, რამდენ ქულას შემატებენ ჩვენი მეტოქეები თავიანთ კოლექტივებს, მხოლოდ ამის მერე გაირკვევა საქართველოს მოფარიკაჟეთა ნაკრების საბოლოო ადგილი საერთო-გუნდურ ჩათვლაში. ჯერჯერობით კი ჩვენი მუშაკეტერები VI ადგილზე არიან.

ამჯერად მხოლოდ ციფრობრივი მონაცემებით შემოვიფარგლეთ, მაგრამ დადგება დრო და ჩვენი მოფარიკაჟეების წლევანდელ სასპარტაკიადო შედეგებს უფრო საფუძვლიანად გავაანალიზებთ. წინასწარ მხოლოდ ერთის თქმა შეიძლება: რაპირისტთა და ხმლით მოფარიკაჟეთა გუნდური შედეგები ურიგო არ არის, საქართველოს სპორტსმენებს ამ სახეობათა ფარიკაობაში წინა სპარტაკიადასთან შედარებით პოზიციები არ დაუთმიათ და, ცხადია, ეს გვახარებს. სხვა საქმეა, რომ ჩვენ უფრო მაღალი შედეგების მოპოვება გვსურს, მეტი უნდა შეგვეძლოს, ამისათვის კი მომავალში გულმოდგინება და ბეჯითი შრომა გვმართებს.

17 ივლისს დაიწყო წყალბურთელთა ნახევარფინალური ტურნირები. ამ ეტაპიდან ასპარეზობაში მონაწილეობენ უცხოეთის სპორტსმენებიც. პირველ ნახევარფინალურ ჯგუფში მოხვდნენ **რუსეთის ფედერაციის, უკრაინის, ბელორუსიის, საქართველოს, რუმინეთისა და ესპანეთის ნაკრები კოლექტივები, მეორეში — უაზახეთის, მოსკოვის, უზბეკეთის, აზერბაიჯანის, იუგოსლავიისა და ავსტრალიის** გუნდები. ნახევარფინალური ტურნირის პირველ დღეს საქართველოსა და რუსეთის ფედერაციის გუნდების შეხვედრა დაძაბულად წარიმართა და ფრედ დამთავრდა — 6:6.

დამთავრდა ბაიდარებითა და კანოეებით ნიჩბოსანთა ასპარეზობა. საქართველოს სპორტულ დელეგაციას 28 ქულა მოუტანეს ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა კანოისტებმა ა. დათიაშვილმა და ვ. სადოვსკიმ, რომლებმაც ორადგილიანი კანოეთი იასპარეზეს. ისინი ფინიშთან მე-8 იყვნენ, მაგრამ მე-6 ადგილისათვის განკუთვნილი ქულები იმიტომ მიეკუთვნათ, რომ 8 საუკეთესოსში რუმინეთისა და ჩეხოსლოვაკიის სპორტსმენებიც მოხვდნენ.

ბაიდარებითა და კანოეებით ნიჩბოსნობის შედეგებით საერთო გუნდურ ჩათვლაში პირველ ადგილზე არიან უკრაინელები — 472 ქულა. მომდევნო ადგილები ასე განაწილდა: 2. ბელორუსია— 462, 3. რსფსრ — 341, 4. ლიტვა — 266, 5. ლატვია — 266, 6. უზბეკეთი — 216, 7. მოლდავეთი — 210. 8. მოსკოვი — 198, 9. ლენინგრადი — 147, 10. ტაჯიკეთი — 110, 11. უაზახეთი — 93, 12. ესტონეთი — 50, 13. საქართველო — 28, 14. თურქმენეთი — 25, 15. ყირგიზეთი — 9.

მას შემდეგ, რაც მოჭადრაკეთა შესარჩევ ქვაჯგუფებში დამთავრდა ყველა გადადებული პარტია, გამოვლინდა I-VI ადგილებისათვის მებრძოლი ექვსივე ფინალისტი. აღსანიშნავია, რომ თითოეული მათგანი ქულების გარკვეული მარაგით გავიდა. **დღეს გაიმართა წილისყრა, რომლის შემდეგ გუნდები ასე განაწილდნენ: 1. ლენინგრადი (მას 5 ქულა აქვს), 2. საქართველო (3), 3. რსფსრ (6), 4. მოლდავეთი (3), 5. მოსკოვი (6), 6. უკრაინა (4).**

ხვალ ქართველი მოჭადრაკეები ხვდებიან ლენინგრადელებს. პირველ დაფაზე თ. გიორგაძე შავი ფიგურებით შეხვდება მსოფლიო ჩემპიონ ა. კარპოვს. საინტერესო იქნება აგრეთვე ნ. გაფრინდაშვილ-ი. ლევიტინის პარტია.

ფეხბურთის ამბები

კუიბიშევში ვადაზე ადრე გაიმართა უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის მე-19 ტურის კიდევ ერთი მატჩი. ადგილობრივმა „კილია სოვეტოვმა“ უმასპინძლა მოსკოვის „დინამოს“ და გაიმარჯვა ანგარიშით — 2:0.

რუსთავის „მეტალურგის“ ფეხბურთელებმა საკუთარ მოედანზე დაამარცხეს მახარაძის „მერცხალი“ ანგარიშით 1:0, რითაც რვეანში აიღეს პირველ წრეში დამარცხებისათვის (1:2). რუსთაველები კვლავ ლიდერობენ საქართველოს საფეხბურთო პირველობას — 33 ქულა 21 თამაშის შემდეგ.

მეორე ადგილზე მყოფი გალის „მზიური“ დამარცხდა წალენჯიხაში „სქურის“ ფეხბურთელებთან — 0:1 და ახლა ლიდერს სამი ქულით ჩამორჩება.

29 ქულით მესამე ადგილზე გადაინაცვლა ტყიბულის „მეშახტემ“, რომელმაც შეძლო ზესტაფონში დაემარცხებინა ადგილობრივი „მეტალურგი“ — 2:1.

რედაქტორი
გ. ბედინეიშვილი.

სპარტაკიადის საერთო გუნდური ჩათვლის ცხრილი

მდგომარეობა
17 ივლისისათვის

1.	რსფსრ	1148
2.	უკრაინა	965
3.	ბელორუსია	948
4.	მოსკოვი	823
5.	უზბეკეთი	382
6.	ლატვია	342
7.	ლენინგრადი	326
8.	ლიტვა	308
9.	მოლდავეთი	296
10.	საქართველო	289
11.	უაზახეთი	268
12.	ყირგიზეთი	203
13.	ესტონეთი	159
14.	აზერბაიჯანი	139
15.	ტაჯიკეთი	119
16.	სომხეთი	103
17.	თურქმენეთი	79

შენიშვნა: ცხრილში არ შედის ახალგაზრდული ასპარეზობებისა და მოსწავლეთა სპარტაკიადის შედეგები. ცხრილში აღნუსხულია მთავარ სპარტაკიადაში მოსაპარეზე სამბისტების, ბაიდარებითა და კანოეებით ნიჩბოსნების, ჩოგბურთელების და ფარიკაობის 8 სახეობაში (რაპირა — ქალები, რაპირა — ვაჟები და ხმალი) მონაწილე სპორტსმენების მიერ დაგროვილი ქულები.

გიფფვევთ სასწავლებლად!

საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტი

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1979-1980 სასწავლო წლისათვის: სამშენებლო, ქვანახშირის, სამთო მრეწველობის, მანქანათმშენებლობის, ენერგეტიკის, ელექტრონიკის, სოფლის მეურნეობის მექანიზაციის, საზღვაო ფლოტის, კავშირგაბმულობის, რკინიგზის ტრანსპორტის, მსუბუქი, კვების, პოლიგრაფიის, მეტალურგიის, ქიმიური მრეწველობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების პროფესიებზე.

სამშენებლო, ქვანახშირისა და სამთო მრეწველობისათვის კვალიფიციურ სპეციალისტებს ამზადებენ:

ქალაქის საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები: № 7 — ქ. ბორჯომი, ინტერნაციონალის ქ. № 6, ტელ. 2-22-97; მოსე თოიძის სახელობის № 11 — ქ. თბილისი, ჭონქაძის ქ. № 21, ტელ. 99-99-61; № 17 — ქ. რუსთავი, კიროვის ქ. № 1, ტელ. 12-17-76; № 18 — ქ. თბილისი, ბუდაპეშტის ქ. № 1, ტელ. 37-63-81; № 19 — ქ. ტყიბული, ოქტომბრის ქ. № 42, ტელ. 26-93; № 20 — ქ. ჭიათურა, გაგარინის ქ. № 2, ტელ. 36-26; № 21 — ქ. ქუთაისი, წულუკიძის ქ. № 189, ტელ. 6-29-38; № 22 — ქ. ტყვარჩელი, ლაკობას ქ. № 4, ტელ. 27-18; № 25 — ბოლნისის რაიონი, დაბა კაზრეთი; № 28 — ქ. სამტრედია, გეგეჭკორის ქ. № 26, ტელ. 38-09; № 44 — ქ. ბათუმი, ლეონიძის ქ. № 2, ტელ. 3-97-11; № 45 — ქ. სოხუმი, ჩრდილოეთის ქ. № 70, ტელ. 2-93-63; № 54 — ქ. თბილისი, ჭიჭინაძის ქ. № 10, ტელ. 71-37-47; № 61 — ქ. რუსთავი, ლომოურის ქ. № 6, ტელ. 12-60-90; საბჭოთა კავშირის გმირის აკაკი ბუკიას სახელობის № 62 — ქ. ზუგდიდი, კრილოვის ჩიხი № 3, ტელ. 32-37; კაპიტან ბუხაიძის სახელობის № 63 — ქ. თბილისი, ლილოს დასახლება, ტელ. 73-04-90; № 68 — დაბა ვანი, მშვიდობის ქ. № 7, ტელ. 3-18; № 69 — დაბა მაიაკოვსკი, რუსთაველის ქ. № 68, ტელ. 29-86; № 70 — ქ. მარნეული; № 71 — ქ. თბილისი, მარელისის ქ. № 12, ტელ. 71-94-43; № 89 — ქ. მცხეთა, საგურამოს ქ. № 4, ტელ. 26-47; № 110 — ქ. თბილისი, ავჭალის დასახლება, ლიბანის ქ. № 32, ტელ. 62-19-44; № 113—ქ. გაგრა, დაბა ბზიფი; თბილისის № 54 პროფტექსსწავლებლის ფილიალი, ჭიჭინაძის ქ. № 10, ტელ. 71-37-47.

ტექნიკური სასწავლებლები: №26 — ქ. თბილისი, ავჭალის გზატკეცილი №72-ბ, ტელ. 66-42-02; №46 — გალის რაიონი, სოფელი საბერძო; №58 — ქ. სოხუმი, ვაჟა-ფშაველას ქ. №7, ტელ. 2-71-63; №78 — ქ. ცხინვალი, გმირთა ქ. №35, ტელ. 34-51; №87 — დაბა თერჯოლა, სოფელი ნახშირღელე; №105 — ქ. ბათუმი, ლეონიძის ქ. №2, ტელ. 3-97-11; №108 — ქ. თბილისი, გლდანის დასახლება, ქერჩის შესახვევი №3, ტელ. 62-56-04; №136 — ქ. ტყიბული, ოქტომბრის ქ. №42, ტელ. 26-93.

ამ სასწავლებლების დამთავრების შემდეგ ახალგაზრდები მიიღებენ ერთ-ერთ ქვემოთ ჩამოთვლილ პროფესიას:

ზეინკალ-სანტექნიკოსის, ელექტროაირშემდუღებლის, მღებავის, დურგლის, ხუროს, კალატოზის, კონსტრუქციათა მემონტაჟის, მებათქაშის, მომპირკეთებლის, მეფილის, ქვაზე და ხეზე მჭრელთა-ფთამის, ელექტროშემდუღებელ-მეარმატურის, ელექტრომემონტაჟის, ამწის ექსკავატორის, ბულდოზერის მძღოლის, გვირაბგამყვანის, მბურღავის და სხვ.

მშენებლის პროფესიებზე მოსწავლეთა მიღება ცხადდება აგრეთვე თბილისის №100 საღამოს პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელში (ქ. თბილისი, ბუდაპეშტის ქ. №1, ტელ. 37-63-81).

მანქანათმშენებლობის, ენერგეტიკისა და ელექტრონიკის პროფესიებზე კვალიფიციურ სპეციალისტებს ამზადებენ:

ქალაქის საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები: ადმირალ ისაკოვის სახელობის №1 — ქ. ბათუმი, მარქსის ქ. №2, ტელ. 3-36-40; №4 — ქ. ქუთაისი, ავტოქარხნის ტერიტორია, ტელ. 6-95-73; საბჭოთა კავშირის გმირის შოთა გამცემლიძის სახელობის №5 — ქ. თბილისი, ართვინის ქ. №53, ტელ. 95-23-72; საბჭოთა კავშირის მარშალ ტოლბუხინის სახელობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი №6 — ქ. თბილისი, მაგნიტოგორსკის ქ. №1, ტელ. 66-34-00; №8 — ქ. წულუკიძე, ლენინის ქ. №38, ტელ. 3-77; №47 — ქ. გარდაბანი, ელსადგურის დასახლება, ტელ. 95-14-01, დამატებითი 23-26; №69 — დაბა მაიაკოვსკი, რუსთაველის ქ. №68, ტელ. 29-86; №95 — ქ. თბილისი, კომკავშირის II ქ. №22, ტელ. 74-22-91; №112 — ქ. ქუთაისი, ავტოქარხნის ტერიტორია.

ტექნიკური სასწავლებლები: №26 — ქ. თბილისი, ავჭალის გზატკეცილი №72-ბ, ტელ. 66-42-02; №32 — ქ. თბილისი, ახალქალაქის ქ. №2, ტელ. 99-42-32; №33 — ქ. ქუთაისი, შევჩენკოს ქ. №12, ტელ. 6-40-47; საბჭოთა კავშირის გმირის ჭიჭიკო ბენდელიანის სახელობის №38 — ქ. თბილისი, კომკავშირის II ქ. №22, ტელ. 74-22-91; №49 — ქ. თბილისი, გორგასლის ქ. №115, ტელ. 72-11-83; საბჭოთა კავშირის გმირის გიორგი ბილანიშვილის სახელობის №51 — ქ. თბილისი, მაგნიტოგორსკის ქ. №5, ტელ. 66-18-29; №60 — ქ. თბილისი, ა. წერეთლის პრ. №139, ტელ. 66-72-59; №79 — ქ. თბილისი, დიღმის მასივი „გამწვანების მშენებლობის“ ტერიტორია, ტელ. 51-33-26; №97 — ქ. თბილისი, ჯიქიას ქ. №3, ტელ. 31-21-76; №132 — ქ. თბილისი, მარნეულის ქ. №37, ტელ. 74-59-06; №133 — ქ. თბილისი, ერეკლეს მოედანი №3; სოხუმის №58 ტექნიკური სასწავლებლის ფილიალი, თბილისის №97 ტექნიკური სასწავლებლის ფილიალი, თბილისი, კამოს ქ. №9.

ამ სასწავლებლების დამთავრების შემდეგ ახალგაზრდები მიიღებენ ერთ-ერთ ქვემოთ ჩამოთვლილ პროფესიას:

ხარატის, მღარავის, საამწყობო-მექანიკური სამუშაოების ზეინკლის, შემკეთებელ-ზეინკლის, ელექტრომონტიორის, ელექტროშემდუღებლის, ზეინკალ-ელექტრომემონტაჟის, ზეინკალ-ინსტრუმენტალიტის, მტვიფრავის, მიკროხქემების ამწყობის, ელექტროფიზიკური პარამეტრების გაზომვისა და სხვ.

აღნიშნულ პროფესიებზე ცხადდება აგრეთვე მოსწავლეთა მიღება თბილისის №123 საღამოს პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელში (ქ. თბილისი, კომკავშირის II ქ. №22, ტელ. 74-22-91), დიმიტროვის სახელობის თბილისის საავიაციო ქარხნის ბაზაზე და თბილისის №125 საღამოს პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელში (ქ. თბილისი, ავჭალის გზატკეცილი №72-ბ, ტელ. 66-42-02), ლენინის სახელობის თბილისის ელმავალსაშენებელი ქარხნის ბაზაზე, ამასთან ცალკეული ჯგუფების სახით ქუთაისის №4, თბილისის №6 საშუალო პროფესიულ-ტექნიკურ და თბილისის №32 ტექნიკურ სასწავლებლებში, სადაც ახალგაზრდები ისწავლიან წარმოებას მოუწყვეტლივ.

სოფლის მეურნეობის მექანიზაციის პროფესიებზე კვალიფიციურ სპეციალისტებს ამზადებენ:

სოფლის საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები: №2 — ყვარლის რაიონი, სოფელი ენისელი; №9 — წულუკიძე, ლენინის ქ. №55, ტელ. 4-04; №10 — ქ. გარდაბანი, საბჭოს ქ. №10, ტელ. 9-14-01 დამატ. 27-01; №13 — გურჯაანის რაიონი, სოფელი ველისციხე, ტელ. 4-74; №14 — დაბა სურამი, სარაჯიშვილის ქ. №6, ტელ. 2-30-21; №15 — გორის რაიონი, სოფელი ხიდისთავი, ტელ. 9-72-62; №30 — ხობის რაიონი, სოფელი ნოჯიხევი, ტელ. 25-13; №40 — დაბა ქარელი; №72—წითელწყაროს რაიონი, სოფელი ჯიფარიძე, ტელ. 28-26; №73 — დაბა თიანეთი, რუსთაველის ქუჩა №19, ტელ. 9-15-98; №82 — ქ. ახალქალაქი, მახარაძის ქუჩა №46, ტელ. 24-25; №83 — ლანჩხუთი, ცხაკაიას ქ. №26, ტელ. 25-01; №84 — ქ. აბაშა, რუსთაველის ქ. №30, ტელ. 9-19-05; №88 — ლაგოდეხი, სოფელი შრომა, ტელ. 22-37; №89 — მცხეთა, საგურამოს ქ. №4, ტელ. 26-47; №91 — დაბა ცაგერი, ლენინის ქ. №58, ტელ. 23-61; №101 — ქ. ახალციხე, რუსთაველის ქ. №19; №102 — გალის რაიონი, სოფელი პირველი გალი, ტელ. 97-5-72; №103 — ზუგდიდის რაიონი, სოფელი ახალი ხახათი; №114 — ბოლნისი, ბერშალის ქ. №21, ტელ. 29-53; №115 — გარდაბნის რაიონი, სოფელი მარტყოფი, ტელ. 73-29-64; №116 — ქ. ახალქალაქი, მახარაძის ქ. №46, ტელ. 28-29; №117 — დაბა წალკა, ახალი განთიადის ქ. №5, ტელ. 2-15-61; №118 — ვანის რაიონი, სოფელი შუამთა; №127 — ქ. თელავი; №128 — დ. თეთრწყაროს რაიონი, სოფელი ტბეთი; №130 — ახმეტის რაიონი, სოფელი მატანი.

სოფლის ტექნიკური სასწავლებლები: №50 — გალის რაიონი, სოფელი პირველი გალი, ტელ. 97-5-72; №77 — ზუგდიდის რაიონი, სოფელი ინგირი; №82 — ქ. ახალქალაქი, მახარაძის ქ. №46, ტელ. 24-25, №85 — გარდაბნის რაიონი, სოფელი სართიჭალა, №93 — დაბა ჩოხატაური, სოფელი ერკეთი, №96 — წულუკიძე, ლენინის ქ. №55, ტელ. 4-04; №98 — დაბა წალკა, სოფელი ავრალო, ტელ. 26; №106 — გორის რაიონი, სოფელი ხიდისთავი, ტელ. 9-72-62; №119 — ხობის რაიონი, სოფელი ხეთა; №121 — ქ. გარდაბანი, საბჭოს ქ. №10, ტელ. 95-14-01 დამატ. 27-01; №122 — ქ. ახალციხე, რუსთაველის ქ. №19; №134 — ქ. ბოგდანოვკა, პუშკინის ქ. №1.

ამ სასწავლებლების დამთავრების შემდეგ ახალგაზრდები მიიღებენ ერთ-ერთ ქვემოთ ჩამოთვლილ პროფესიას:

ფართო პროფილის და III კლასის ტრაქტორისტ-მემანქანის, მეცხოველეობის ფერმის მექანიზატორის, ექსკავატორის მემანქანის, ავტომობილების, ტრაქტორების და სასოფლო-სამეურნეო მანქანების შემკეთებელი ზეინკლების, ბულდოზერების, გრეიდერის მემანქანის, სოფლის ელექტრიფიკაციისა და კავშირგაბმულობის ელექტრომონტიორისა და სხვ.

კვების, პოლიგრაფიისა, მსუბუქი, ფეხსაცმლის მრეწველობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტებისათვის კვალიფიციურ სპეციალისტებს ამზადებენ:

ქალაქის საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები: №23 — ქ. თბილისი, ტრიკოტაჟის ქ. №3, ტელ. 66-19-55; №24 — ქ. თბილისი, ა. წერეთლის პრ. №134, ტელ. 34-09-65; №29 — ახალციხის რაიონი, დაბა ვალე, სტალინის ქ. №28-ა, ტელ. 4-17; ზოია რუხაძის სახელობის №36 — ქ. თბილისი, ავჭალის გზატკეცილი №108, ტელ. 62-41-39; №37 — ქ. ქუთაისი, კიროვის ქ. №93 — ა. ტყეო. 6-35-03; თინა იოსებიძის სახელობის №39 — ქ. გორი, ბესიკის ქ. №2, ტელ. 21-53; №52 — ქ. თელავი, საჯაძის ქ. №3, ტელ. 18-91; საბჭოთა კავშირის გმირის გენერალ-პოლკოვნიკის პ. ჩახჩიბაძის სახელობის №53 — მახარაძის რაიონი, სოფელი ლიხაური, ტელ. 6-48-61; №64 — ქ. ხაშური, ბორჯომის ქ. №4, ტელ. 28-96; საბჭოთა კავშირის გმირის ალექსანდრე წურწუმიას სახელობის №66 — ქ. ცხაკაია, ლენინის ქ. № 21, ტელ. 2-20-27; №67 — ქ. ქუთაისი, წულუკიძის ქ. №189, ტელ. 6-39-67; უშინსკის სახელობის №75 — ქ. თბილისი, გლდანის დასახლება, ქერჩის შესახვევი №3, ტელ. 62-12-06; საბჭოთა კავშირის გმირის გენერალ-პოლკოვნიკ კ. ლესელიძის სახელობის №80 — ქ. თბილისი, გლდანის დასახლება, ქერჩის შესახვევი №5, ტელ. 62-04-98; №86 — ქ. რუსთავი, ბოსტან-ქალაქის ქ. №3, ტელ. 19-24-82; ქართულ-რუსული №107 — ქ. თბილისი, ჭიჭინაძის ქ. №10, ტელ. 71-11-83; №111 — ქ. თბილისი, მეგობრობის გამზირი, II კვარტალი, წიგნის ფაბრიკის ტერიტორია; №131 — ქ. ცხინვალი, მარქსის ქ. №36, თბილისის №41 ტექნიკური სასწავლებლის ფილიალი.

ტექნიკური სასწავლებლები: №27 — ქ. თბილისი, ბ. ხმელნიცკის ქ. №6, ტელ. 74-34-67; №34 — ქ. თბილისი, კამოს ქ. №68, ტელ. 95-34-24; №35 — ქ. თბილისი, კალინინის ქ. №60, ტელ. 95-62-38; თბილისის №36 სასწავლებლის ფილიალი — ქ. თბილისი, ლენინის ქ. №15, ტელ. 99-90-67; №41 — ქ. თბილისი, მოსკოვის პრ. №19, ტელ. 71-11-50; №42 — ქ. ქუთაისი, კოსმონავტების ქ. №65, ტელ. 6-87-11; №43 — ქ. თბილისი, ხუთწლედის ქ. №65, ტელ. 66-16-62; №74 — ქ. თბილისი, ჭიჭინაძის ქ. №10, ტელ. 71-32-35; №76 — ქ. ბათუმი, ლერმონტოვის ქ. №84, ტელ. 3-90-19; №90 — ქ. ქობულეთი, რუსთაველის ქ. №154, ტელ. 28-51; №92 — სამტრედიის რაიონი, სოფელი კულაში; №109 — ქ. ხაშური, ბორჯომის ქ. №4.

ამ სასწავლებლების დამთავრების შემდეგ ახალგაზრდები მიიღებენ ერთ-ერთ ქვემოთ ჩამოთვლილ პროფესიას:

მჭედლის, მრთველის, კაცისა და ბავშვის კოსტიუმებისა და პალტოს მკერავის, ქალისა და ბავშვის ზედა ტანსაცმლის მკერავის, მკერავ-მოტორისტის, პურ-ფუნთუშეულის მცხობელის, კონდიტერის, რადიოსატელევიზიო აპარატურის მომსახურე მეკავშირეთა რადიო-მექანიკოსის, საყოფაცხოვრებო მომსახურების, ელექტრომწყობილობათა შემკეთებელი ელექტროზეინკლის, ავტომანქანების შემკეთებელი ზეინკლის, ფოტოგრაფის, სახურავთა და სამრეწველო ნაგნილის გაშაყიდველის, მზარეულის, ხორცის გადამმუშავებლის, ამწყობი ლინოტიპისტის, მალალი ბეჭდვის მბეჭდავის, ოფსეტური ბეჭდვის მბეჭდავის, მკინძავის, სახურავთა ნაგნილის გაშაყიდველის და სხვ.

ცხადდება აგრეთვე მოსწავლეთა მიღება თბილისის №23, 24, 27, 36, 42, ქ. ქუთაისის და გორის №39 პროფესიულ-ტექნიკური და ტექნიკური სასწავლებლების საღამოს სწავლების ჯგუფებში მათ საბაზო საწარმოებში დასაქმებული ახალგაზრდების პროფესიული მომზადების, გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლებისათვის წარმოებას მოუწყვეტლივ.

ამ სასწავლებლების დამთავრების შემდეგ ახალგაზრდები მიიღებენ ერთ-ერთ ქვემოთ ჩამოთვლილ პროფესიას:

მეტალურგიული და ქიმიური მრეწველობისათვის კვალიფიციურ სპეციალისტებს ამზადებენ:

ქალაქის საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები: №3 — ქ. რუსთავი, ტაშკენტის ქ. №14, ტელ. 12-69-96; №16 — ქ. რუსთავი, ქიმიური ბოჭკოს ქარხნის ტერიტორია, ტელ. 19-21-56; №20 — ქ. ჭიათურა, გაგარინის ქ. №5, ტელ. 32-26; №99 — ქ. ზესტაფონი, ფეროშენადნობთა ქარხნის ტერიტორია, სტაროსელსკის ქ. №6, ტელ. 1-27.

ტექნიკური სასწავლებლები: №94 — ქ. რუსთავი, ტაშკენტის ქ. №14, ტელ. 12-69-96; ქართულ-რუსული №104 — ქ. რუსთავი, ნ. ნიკოლაძის ქ. №3, ტელ. 12-06-90.

ცხადდება აგრეთვე მოსწავლეთა მიღება რუსთავის №124 საღამოს პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელში — ქ. რუსთავი, ნიკოლაძის ქ. №3, ტელ. 12-06-90, რუსთავის ქიმიური ბოჭკოსა და ქიმიური ქარხნების ბაზებზე, სადაც ახალგაზრდები ისწავლიან წარმოებას მოუწყვეტლივ.

ამ სასწავლებლების დამთავრების შემდეგ ახალგაზრდები მიიღებენ ერთ-ერთ ქვემოთ ჩამოთვლილ პროფესიას:

მეტალურგიული წარმოების ამწის მემანქანის, მეფოლადის დამზმარის, ცხელი გლინვის, დგანის მვალცავის, ზეინკალ-შემკეთებლის, ფეროშენადნობის მდნობელის, ელექტროშედუღებლის, ელექტროზეინკლის, ელექტროქიმიკოსის, ქიმიური წარმოების ფართო პროფილის მეაპარატის, მგრეხავის, ქიმიური წარმოების ტექნოლოგიური პროცესის კონტროლიორის, ძაფის გადამზვევისა და სხვ.

საზღვაო ფლოტის, რკინიგზის, ქალაქის ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობისათვის კვალიფიციურ სპეციალისტებს ამზადებენ:

ქალაქის საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები: ადმირალ ისაკოვის სახელობის №1 — ქ. ბათუმი, მარქსის ქ. №2, ტელ. 3-36-40; №12 — ქ. ფოთი, ტაბიძის ქ. №12, ტელ. 34-11; №126 — ქ. თბილისი, გლდანის დასახლება, ქერჩის შესახვევი №7.

ტექნიკური სასწავლებლები: ლენინური კომკავშირის სახელობის №31 — ქ. თბილისი, ოქტომბრის ქ. №134, ტელ. 66-79-62; №65 — ქ. თბილისი, ნ. ნარიმანოვის ქ. №8, ტელ. 72-44-44; №120 — ქ. თბილისი, შაუმიანის ქ. №65, ტელ. 74-59-06; №135 — ქ. ფოთი, ტაბიძის ქ. №12.

ამ სასწავლებლების დამთავრების შემდეგ ახალგაზრდები მიიღებენ ერთ-ერთ ქვემოთ ჩამოთვლილ პროფესიას:

საზღვაო ფლოტის I კლასის მეზღვაურის, გემის I კლასის მოტორისტის, გემის მემონტაჟე-ზეინკლის, გემის კორპუსის ამწყობის, ელმავლის მემანქანის თანაშემწის, მოძრავი შემადგენლობის ელმავლის შემკეთებელ-ზეინკლის, სადგურის მორიგის, ვაგონის გამცილებლის, ტრამვაი-ტროლეიბუსის მძღოლის, მრჩილავი-მეკაბელის, ტელეგრაფისტის, მეელსმენის, კავშირგაბმულობის ოპერატორის და სხვ.

კურსდამთავრებულები მიღებული პროფესიის მიხედვით განაწილდებიან საბაზო ორგანიზაციის საწარმოებში და მიეცემათ ხელფასი მინიჭებული თანრიგისა და კვალიფიკაციის შესაბამისად.

სასწავლებლებში ახალგაზრდების ჩარიცხვა წარმოებს მიმღები კომისიის სხდომებზე გასაუბრების გზით და ატესტატში ნაჩვენები ნიშნების გათვალისწინებით. იმ პროფესიებზე ჩასარიცხად, რომლებიც რომელიმე საგნის უფრო ღრმა ცოდნას მოითხოვს, ეწყობა გამოცდა. თბილისის მოსე თოიძის სახელობის №11 პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელში გამოცდები მოეწყობა ხატვასა და კომპოზიციაში.

სასწავლებელში ჩარიცხვის დროს უპირატესობა ენიჭება ახალგაზრდებს, რომლებიც სასწავლებლად მივლინებული არიან საგზურებით საბაზო ორგანიზაციების, საწარმოების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, კომკავშირული ორგანიზაციების მიერ, აგრეთვე საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტიდან დემობილიზებულს, საბაზო ორგანიზაციებში მომუშავეთა შვილს, ობლებს, საბავშვო სახლის აღზრდილებს, I და II ჯგუფის ინვალიდების შვილებს.

საბჭოთა არმიიდან დემობილიზებული ახალგაზრდები პროფესიულ-ტექნიკურ და ტექნიკურ სასწავლებლებში მიიღებიან სწავლების შემცირებული ვადის ჯგუფებში (8-10 თვე) და სწავლების მთელი პერიოდი უწყვეტ შრომის სტაჟად ეთვლებათ.

სასწავლებლებში სწავლა უფასოა, გარდა ამისა, ქალაქის საშუალო და პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში მოსწავლეები უზრუნველყოფილი იქნებიან კვებით, ტანსაცმლით, ხოლო სოფლის საშუალო და პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში კვებით, ტანსაცმლით, სპეცტანსაცმლით და სტიპენდიით.

ტექნიკური სასწავლებლის მოსწავლეებს, რომლებსაც ყველა საგაზში ექნებათ კარგი აკადემიური წარმატება, მრეწველობის დარგის შესაბამისად, მიეცემათ სტიპენდია თვეში 30-დან 37-მდე მანეთის ოდენობით, ხოლო ფრიადოსან მოსწავლეებს — 25-ით მეტი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 30 აგვისტოს დადგენილების საფუძველზე საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლებისა და ტექნიკური სასწავლებლების პედაგოგიურ საბჭოებს უფლება მიეცათ ნება დართონ კურსდამთავრებულებს (სასწავლებლის გამოშვების 10 პროცენტის ფარგლებში), რომლებსაც „ფრიადი“ და „კარგი“ შეფასება აქვთ ყველა საგანში და წარმატებით ჩააბარებენ საკვალიფიკაციო გამოცდებს, შევიდნენ უმაღლესი სასწავლებლის დღის განყოფილებების შესაბამის სპეციალობაზე უშუალოდ სასწავლებლის დამთავრების შემდეგ (ასეთ კურსდამთავრებულებზე სასწავლებელი გასცემს სპეციალურ ცნობას დამტკიცებული ნიმუშის მიხედვით. იგი ძალაშია გაცემის მომენტიდან სამი წლის განმავლობაში).

საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის კურსდამთავრებულები, რომლებმაც მიიღეს წარჩინების დიპლომი, უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხვის დროს სარგებლობენ საშუალო ზოგადსაგანმანათლებელო სკოლის ოქროს მედალოსნებისა და საშუალო სპეციალური სასწავლებლების წარჩინებულ კურსდამთავრებულთათვის დადგენილი უპირატესობით.

ტექნიკური სასწავლებლების წარჩინებული კურსდამთავრებულები, რომლებიც დადებითს შეფასებას მიიღებენ მისაღებ გამოცდებზე, უმაღლესი სასწავლ